ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემიასა
და
ა(ა)იპ - სამხედრო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს
შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

ა(ა)იპ - სამხედრო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს შორის

ქ. გორი 3 მარტი, 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში „აკადემია"), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პოლკოვნიკი მამია ბალახაძის სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ - სამხედრო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი"), წარმოდგენილი პრეზიდენტის, თადარიგის გენერალ-მაიორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის თენგიზ შუბლაძის სახით (შემდგომში „მხარეები"), ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ მხედველობაში სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ მომავალი თაობებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიცემის და მათთვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელობას, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის მზადყოფნას და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მხარეებს შორის დამყარდეს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის საგანმანათლებლო, კვლევითი და ინოვაციური პროგრამების და პროექტების განვითარებას.

მუხლი 2.

მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. მხარეები, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში:

ა) ხელს შეუწყობენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განავითარებას;

ბ) ხელს შეუწყობენ განათლებისა და მეცნიერების სფეროში გამოცდილების გაზიარებას;

გ) ითანამშრომლებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებში;

დ) ხელს შეუწყობენ ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას;

ე) ითანამშრომლებენ საჯარო ლექციების, სემინარების, ტრენინგების, კონფერენციების, სიმპოზიუმების და სხვა აქტივობების ჩატარებაში;

ვ) განიხილავენ თანამშრომლობის სხვა ნებისმიერ ფორმებს და მიმართულებებს, რომლებიც არ არის ასახული წინამდებარე მემორანდუმში;

ზ) შეთანხმებული აქტივობების შესრულება ეფუძნება კონკრეტულ აქტივობასთან დაკავშირებულ, მხარეებს შორის ცალკე დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

2.2. „აკადემია“:

ა) უზრუნველყოფს „ინსტიტუტის“ წევრთა ჩართულობას ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციებში;

ბ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საკონფერენციო, სალექციო დარბაზების, სპორტული და კულტურული კომპლექსების და სხვა ინფრასტრუქტურული საშუალებების გამოყოფას;

გ) უზრუნველყოფს „ინსტიტუტის“ წევრების საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას;

2.3. „ინსტიტუტი“, შესაძლებლობის ფარგლებში:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში მონაწილეობს აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ დაგეგმილ კვლევით საქმიანობაში;
ბ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევით სფეროში აკადემიასა და საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაღრმავების ხელშეწყობას;
გ) სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად მონაწილეობს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების მიერ საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებაში;
დ) სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად მონაწილეობს სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის შემუშავებაში.

მუხლი 3.

დამატებითი პირობები

ა) წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი წერილობითი სახის შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები;

ბ) მემორანდუმი უვადოა, ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილებების მიღებამდე. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი სახით აცნობოს შეწყვეტამდე 30 კალენდარული დღით ადრე.

გ) შეთანხმება არ შეიცავს მხარეთა ვალდებულებებს. ის არ წარმოადგენს აუცილებლად შესასრულებელ დოკუმენტს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მასში მოცემული ღონისძიებების განხორციელება დამოკიდებულია თითოეული მხარის ნებაზე, შესაძლებლობაზე და კომპეტენციაზე. მხარეთა შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

დ) მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

პოლკოვნიკი ბესიკ ბალახაძე

ა(ა)იპ - სამხედრო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტი

თადარიგის გენერალ-მაიორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ შუბლაძე